საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ელბა ექსპორტი"-ს ექსპლუატაციას უწევს ქ. რუსთავში, გაგარინის ქუჩა N12-ში, შპს რუსთავის ფოლადის მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე, კირის საწარმოს. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2-1043 საფუძველზე, რომლის მიხედვით კირის წარმოებაზე შპს „რუსთავის ფოლადი"-ს სახელზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (16.09.2019 წ ბრძანება N2-896) გადაეცა შპს „ელბა ექსპორტს". აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველია კირის წარმოებაზე გაცემული 2009 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში არ ყოფილა განხილული კირის საწარმოს ერთიერთი ძირითადი სტრუქტურული ერთეული კირის საფქვავი წისქვილი და შესაბამისად არ არის ასახული 2009 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში. გარდა აღნიშნულისა, გათვალისწინებული საწარმოს წარმადობის გაზრდა, რისთვისაც დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიაზე არსებული მბრუნავი ღუმელის აღდგენა. იგეგმება, ასევე ჩამქრალი კირის საწარმოო უბნის მოწყობა. ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის მიხედვით, ექვემდებარე სკრინინგის პროცედურას. საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების სპეციფიკის გათვალისწინებით შპს „ელბა ექსპორტმა" მიიღო გადაწყვეტილება გზშ-ის პროცედურის გავლის თაობაზე.

წარმოგიდგენთ შპს „ელბა ექსპორტი"-ს კრის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- შპს „ელბა ექსპორტი"-ს კრის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საწარმოს ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები შეიფ ფაილების სახით CD დისკზე.

პატივისცემით,

ნინო კაციტაძე

შპს „ელბა ექსპორტი"-ს დირექტორი

№ 16206
09.09.2021